

შრომის პირობების ინსპექტირება ქართული და საერთაშორისო
სამართლის ჭრილში

მაკა ცუხიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ერეკლე კალატოზიშვილი , სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი , ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მაკა ცუხიშვილი , 01.07.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი საქართველოსთვის ეს არის შრომის პირობების ინსპექტირება. მედიაში ხშირად ჟღერდება დასაქმებულთა დაშავებისა თუ გარდაცვალების ფაქტები. ამ შემთხვევებს ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობამდე მიჰყავს. შედეგად აუცილებელი გახდა ისეთი რეგულაციების შემოღება, რომელიც მაქსიმალურად შეეცდებოდა არსებული სიტუაციის გამოსწორებას.

ნაშრომი არის მცდელობა იმისა, რომ წარმოაჩინოს რამდენად შეცვალა ამ ორგანომ ან აღმოფხვრა პრაქტიკაში არსებული პრობლემები და ის ხარვეზები, რაც ხელს უშლის შრომის პირობების რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

საკითხის კვლევა ეფუძნება, უფლებამოსილი ორგანოს მარეგულირებელ ქართულ კანონმდებლობის, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზს. ეროვნული კანონმდებლობის განხილვა დაყოფილია ორ ნაწილად, რომელიც მოიცავს 2018 წლამდე არსებულ რეგულაციებს და 2018-2019 წლის „შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის“ განხილვას. 2019 წლამდე წლამდე ეროვნული კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა რა შეზღუდული უფლებები ჰქონდათ ინსპექტორებს მაშინ როდესაც საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები რადიკალურად სხვა სფეროებზე უთითებენ. განსხვავება გამოიხატება თუნდაც სანქცირების მექანიზმის არსებობაში, რადგანაც ძველი რეგულაციით ძირითადად გამოიყენებდნენ გაფრთხილებას, ხოლო ახლა მათ მოქმედების უფრო ფართო მანდატი აქვთ, იყენებენ როგორც გაფრთხილებას, ასევე ჯარიმას და საწარმოსაც აჩერებენ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა დღეს არსებული ორგანოს ის მცირედი ნაკლოვანებები, რაც შრომის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების 100%-იან დამთხვევას აბრკოლებს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ორგანოს ზედამხედველობა დღესაც არ მოიცავს

ყველა შრომით უფლებას, მაგალითად, ზეგანაკვეთური სამუშაოს კონტროლს და ამ ეტაპზე მხოლოდ ორიენტირებულია სამუშაო გარემოში უსაფრთხოების პირობებზე.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოსთვის ეს არის სიახლე და ამ სიახლის ფონზე მაქსიმალურად ცდილობს დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და გამოასწოროს კანონის ყველა ხარვეზი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შრომის უსაფრთხოება, ინსპექტირება , დასაქმებული, დამსაქმებელი, შრომის პირობები, ინსპექტირების დეპარტამენტი.

Abstract

In this paper, one of the most relevant issues is for Georgia. This is the inspection of labor conditions in the media every day on the facts of injury and death of employees.

These cases lead to the grave socio-economic background of the country every more difficult. As a result , the creation and existence of such a body became the best existing existence.

The work is an attempt to demonstrate how much changes in the practice and the problems existing in the practice of this body and the short comings that impede closer to the labor conditions supervising body of the International Labor Organization.

The issue is based on the regulatory authority of all competent Georgian legislation obligations undertaken by the European Union and International Analysis.

The review of legislation analysis is divided into two periods, which constitute the regulation of 2018 and the Labor Law on 2018-2019. An analysis of national legislation before 2019 showed how limited the rights of inspectors while the requirements of international standards were radically different. There was even a difference in the mechanism of sanctions. Because previously, the used to be warned and now their powers are increased, use as waning , as well as the fines and the enterprise.

Study has shown that there are small shortcoming today, which contribute to the 100% coinciding requirement of the international standard of the labor, even if the body supervision still does not include all the rights of labor. Despite all this it is a new department.

Key search keywords: Labor; Safety; Employed; Employer; Labor conditions; Department of inspectors; Inspection.